# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 284

“14” ივნისი 2024 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლება №18-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.25.009.038) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლება №18-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.25.009.038) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 5 ივნისის №24.957.1096 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლება №18-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.25.009.038) არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | *დანართი N1* | | | | |
| | ქალაქი თბილისი, აეროპორტის დასახლება N18 (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.038) | | | | |
| N | სახელი გვარი | პირადი ნომერი | სართული | ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ) | საკადასტრო კოდი |
| 1 | ციალა ძველიშვილი | 13001055580 | სართული 1 | 74.05 | 01.19.25.009.038.01.504 |
| 2 | ივანე ზარიძე | 01002022203 | სართული 1 | 67.54 | 01.19.25.009.038.01.506 |